

**2019 წლის ოქტომბრიდან დაწყებითი საფეხურის II და III კლასის მოსწავლეთათვის
გიმნაზიაში მუშაობას იწყებს ბუნებისმეტყველების საგნობრივი წრე სახელწოდებით
„ბუნების შვილები“**

კურსის ხანგრძლივობა 2019-2020 სასწავლო წლის I სემესტრი

მეცადინეობა დღე -სამშაბათი 13:00-14:00 (II სასწავლო კორპუსი, ოთახი 202)

წრის ხელმძღვანელი ცირა ზაბილონი

ბუნებისმეტყველების წრის მუშაობის მიზანი:

- გაუჩინოს მოსწავლეს ინტერესი და აზიაროს საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლებს;
- განუვითაროს კვლევითი უნარჩვევები, რაც მას საშუალებას მისცემს, შეიცნოს და გაითავისოს სამყარო;
- შეაყვაროს ცოცხალი თუ არაცოცხალი ბუნება და განუვითაროს მისადმი მზრუნველი დამოკიდებულება;
- ჩამოუყალიბოს ბუნების დაცვის აუცილებლობის შეგნება.

განსავითარებელი უნარ-ჩვევები

- დაკვირვების უნარ-ჩვევა;
- დახარისხებისების, მსჯელობის და დასკვნის გამოტანის უნარი;
- შემოქმედებითი უნარი;
- შედარება-დაპირისპირების უნარი
- თანამშრომლობის უნარი.

ბუნებისმეტყველების წრის მოკლე აღწერა

საწრეო მუშაობა მოსწავლეებს შეუქმნის პოზიტიურ განწყობას ბუნებისადმი, შეაყვარებს საგანს და მოსწავლეს უფრო მგრძობიარეს გახდის გარე სამყაროს მიმართ.

საწრეო მუშაობის ფარგლებში მოსწავლეები ჩაატარებენ მარტივ ექსპერიმენტებს, დაკვირდებიან გარემოს, გამართავენ გამოფენებს, წარადგენენ კვლევის შედეგებს.

საწრეო მუშაობა მნიშვნელოვანის და აქტუალურია დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის, რადგან სწორედ ამ ასაკში იწყებენ ბავშვები ბუნებაში დამოუკიდებლად ორიენტაციას და უჩნდებათ მისი კვლევის ინტერესი და უნარი, აწუხებთ უამრავი კითხვა გარე სამყაროსთან დაკავშირებით.

კვლევა-ძიებისათვის განკუთვნილი სავარჯიშოები და დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები დადებით სასწავლო მოტივაციას შეუქმნის მოსწავლეებს და სახალისოსა და საინტერესოს გახდის ბუნებისმეტყველების მეცადინეობებს.

მუშაობისას საჭირო რესურსი:

თაბახის ფურცლები, დაფა, პროექტორი, წებოვანი ბარათები, მარკერები, კალმები, ერთჯერადი თევშები, ვიდეომასალა, კლასგარეშე ლიტერატურა, ფოტოაპარატი და სხვა.

წრის მუშაობის გეგმა შესაბამისობაშია ესგ-სთან

მიმართულება: მეცნიერული კვლევა-ძიება

ბუნ. II.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

მიმართულება: ცოცხალი სამყარო

ბუნ. II.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სიცოცხლის ძირითადი ნიშნების ამოცნობა.

ბუნ. II.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ორგანიზმებისათვის გარემოს მნიშვნელობაზე მსჯელობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ვარდიაშვილი, მ. ჭელიძე, ი. ავალიანი - ბუნებისმეტყველება
2. ხათუნა გოგალაძე - მარტივი ექსპერიმენტები ბუნებაში
3. სახალისო ექსპერიმენტები
4. ი. გოგებაშვილი - ბუნების კარი
5. ბაკურ სულაკაური - საბავშვო ენციკლოპედია

წრის მუშაობის მუშაობის პროგრამა და განრიგი

N	თარიღი	თემის დასახელება
1	08.10.2019	ჯგუფის წევრების შეხვედრა, საწრეო მუშაობის შინაარსის და პროგრამის გაცნობა; ვიდეომასალის ჩვენება
2	15.10.2019	ექსკურსია გორის დასვენების პარკში
3	22.10.2019	შემოდგომის ფერები
4	29.10.2019	სკოლის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება
5	05.11.2019	ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნება
6	12.11.2019	ცხოველთა საარსებო გარემო
7	19.11.2019	ვირტუალური მოგზაურობა ზოოპარკში
8	26.11.2019	სახალისო ექსპერიმენტები
9	03.12.2019	საქართველოს ფლორა - მცენარეები; დაკვირვება ხორბლის აღმონაცენზე
10	10.12.2019	მცენარის ორგანოების დანიშნულება
11	17.12.2019	მცენარის როლი დედამიწაზე
12	24.12.2019	შეჯამება - ნახატებისა და პოსტერების გამოფენა